ПРОЛЕТАРЕБО ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 284 (18526) პარასკევი, 10 დეკემბერი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომის გახსნის შესახებ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, მშრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საბჭოთა არმიის მეომრების წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომელიც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 60 წლისთავს ეძღვნება, გაიხსნება

ქალაქ თბილისში 1982 წლის 11 დეკემბერს, დილის 11 საათზე საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში.

საზეიმო სხდომის მონაწილეთა რეგისტრაცია იწარმოებს 10 დეკემბერს დილის 9 საათიდან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაში, 11 დეკემბერს — დილის 9 საათიდან საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის (1982 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

არც ერთი წუთი მოცდენა, არც ერთი წუთი დანაკარგი!

თბილისის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის“ კოლექტივი გულმოდგინედ იბრძვის შეთერთმეტე ხუთწლედის მეორე წლის სახელმწიფო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. ეს თერთმეტი თვე კარგი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით დაამთავრეს. წარმატებით შესრულდა როგორც პროდუქციის გამოშვების, ისე მისი რეალიზაციის გეგმა.

სურათზე თქვენ ხედავთ თბილისის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის“ № 3 საამწყობო სამჭროს მოწინავეებს: (მარცხნიდან) ელექტრომემონტაჟე ვ. ძაგოევას, ამწყობ ზეინლებს ს. გომართელს, რ. ბერაძეს, ამწყობ-ზეინკლებს ბრიგადის ხელმძღვანელს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს რ. ორაგველიძეს, ამწყობ ზეინლებს ი. აბუაშვილს, დ. ოდიშარაშვილს და ელექტრომემონტაჟე დ. მალვანიშვილს.

ს. კილაძის ფოტო.

ცოტა დრო დარჩა მიმდინარე საიუბილეო წლის დამთავრებამდე. დარჩენილი დღეები მიმდინარეობს სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის მიერ პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების ნიშნით. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები ამ დღეებში ყურადღებას მიაპყრობენ ეკონომიკის განვითარების ძირეულ პრობლემათა გადაწყვეტას. ისინი ეძებენ წარმოების რეზერვების უკეთ გამოყენების, შრომის ნაყოფიერების გაზრდების გზებს.

ეს აზრი წითელ ზოლად გასდევდა 8 დეკემბერს გამართულ თბილისის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებას.

და, როგორც ყოველთვის, შეჯიბრების მონაწილეთა ავანგარდში არიან საქართველოს დედაქალაქის სახელოვანი მუშათა კლასი. მისი წამყვანი ძალა — კომუნისტები. თბილისის მრეწველობამ ვალდებულება შეასრულა თერთმეტი თვის გეგმა. ყველა ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით, ლენინის ორდენით ქალაქის დაჯილდოებით აღფრთოვანებული ყველა საწარმოს, მშენებლობის, დაწესებულების კოლექტივები ზრდიან მუშაობის რიტმს.

კრებაზე ინფორმაციები გააკეთეს საქართველოს კომპარტიის პირველი მეთაურის, რაიკომის პირველმა მდივანმა მ. წულაძემ, სტალინის სახელობის ელექტროგაგონშემკეთებელი ქარხნის უფროსმა ტ. ჯაფარიძა, ცხინვალის მუშამ ნ. ბიბანოვმა, საწარმოო გაერთიანება „საქმაღნიმანქანის“ ხარატმა შ. ჯოხაძემ, ობრეშუმის საწარმოო გაერთიანების ოსტატის თანაშემწემ ვ. გეგეშიძემ, პატონის სახელობის ელექტრომესაფენი მოწყობილობების ქარხნის მოშამ ვ. ფუკოვინმა, საინსტრუმენტო ქარხნის პარტბიუროს მდივანმა გ. კახიშვილმა.

კრების შედეგები შეაჯამა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. გაბუნიამ.

კრებაზე აღინიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმის მოწოდებას — დეკემბერი გამოცხადდეს დამკვრელური შრომის თვედ, ვიმუშაოთ დეკემბერი „არც ერთი წუთი მოცდენა! არც ერთი გრამი დანაკარგი!“ გამოეხმაურა თბილისის ყველა შრომითი კოლექტივი.

წლის დამლევამდე დარჩენილი თითოეული დღე უნდა გახდეს ყოველ სამუშაო ადგილს უმაღლესი ნაყოფიერების დღე. საქმიანადმი მხოლოდ ასეთი მიდგომით შეიძლება შესრულდეს დეკემბრისათვის ქალაქის მრეწველობის წინაშე დასახული ამოცანა: გამოუშვას რეკორდული მოცულობის — 265 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ცხინვალმანქანის კოლექტივმა, მაგალითად, აწონ-დაწონა თავისი შესაძლებლობანი და გადაწყვიტა წინათ ნაკისრი ვალდებულებათა დამატებით წლის დამლევამდე გამოუშვას კიდევ 800 ათასი მანეთის პროდუქცია. ამდენივე თანხის სხვადასხვა ნაწარმის გამოშვება გადაწყვიტეს „თბილისკონდიტერის“ მუშაკებმა. ელექტროშესადუღი მოწყობილობის ქარხნის მშრომელები შეეშვნიან 100 ათასი მანეთის დამატებითს აგრეგატებს.

„საცდელნიმანქანის“ კოლექტივმა, რომელმაც კრებამ უპატაჟა წლიური პროგრამის შესრულება, ვალდებულება იკისრა წლის დამლევამდე დამატებით გამოუშვას 50 ათას მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია.

საინსტრუმენტო ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა, რომლებმაც უკვე გამოუშვეს 550 ათასი მანეთის ზეგეგმითი სასაქონლო პროდუქცია, რაც 3,5-ჯერ აღემატება წლიურ ვალდებულებებს, გადაწყვიტეს არ დასჯერდნენ მიღწეულს და წლის დამლევამდე დაამზადონ კიდევ რამდენიმე ათასი მანეთის ნაწარმი.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ მიიღო მიმართვა საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის ყველა მშრომელისადმი, რომელშიც მოუწოდებს მათ მხარი დაუჭირონ მოწინავე კოლექტივების პატრიოტულ თაოსნობას — მაქსიმალური წვლილი შეტანონ რესპუბლიკის მიერ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში, საიუბილეო წლის უკანასკნელი თვის ყოველი დღე გამოიცადონ რიტმს.

საიუბილეო წელს-დამკვრელური ფინიში

თბილისელ მშრომელთა პატრიოტული ინიციატივა

დამკვრელური შრომის დღედ, მიაღწიონ შრომის უმაღლეს ნაყოფიერებას ყოველ სამუშაო ადგილს, მთელი ძალები, ცოდნა, გამოცდილება მოახმარონ ქალაქის მრეწველობისათვის რეკორდული წარმოების მოცულობის უზრუნველყოფას, დადგენილი დავალების შესრულებას, რომ დეკემბრში გამოუშვან 265 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია. ამისათვის, ნათქვამია მიმართვაში, საჭიროა საშუალო-საფეიქრო წარმოება გაზარდონ 11 მილიონ მანეთამდე, რაც თითქმის 12 პროცენტით აღემატება წლის განვლილ პერიოდში მიღწეულ მაჩვენებლურ დონეს. დეკემბერში გამოუშვან 7 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, ხოლო წლის მანძილზე — თითქმის 68 მილიონი მანეთის პროდუქცია, ვალდებულებით გათვალისწინებულ 35 მილიონი მანეთის ნაცვლად. ძირითად სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის წლიური დავალება განაღდონ 24 დეკემბრისათვის ვალდებულებებით გათვალისწინებული ვადის — 28 დეკემბრის ნაცვლად“.

კრების მონაწილეებმა ქალაქის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შრომის კოლექტივებს მოუწოდეს სამშობლო გაანაირონ ახალი საწარმოო მიღწევებით, მაქსიმალური წვლილი შეიტანონ რესპუბლიკის მიერ მიმდინარე წლის დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა უთუო შესრულების საქმეში, სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს აღუთქვეს, რომ სიტყვას არ გატეხენ, გადიდებულ ვალდებულებებს შეასრულებენ, რესპუბლიკისა და ქვეყნის ყველა შრომელთან ერთად ღირსეულად შეხვდებიან სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს.

კოლმეურნეთა შეშა რთველა

ჩოხატაური. (საკ. კორ. ბ. ჩხაიძე). სოფელ განახლების ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელები დიდი შემართებით შრომობენ სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის იუბილეს შესახვედრად. კოლმეურნეთა სახელებად უნდა ითქვას, რომ მათ ვადაზე ადრე შეასრულეს ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების მოსავლის აღებისა და დამზადების წლიური ვალდებულებანი.

განახლებელი კოლმეურნეები ერთსულოვანი დარაზმულობით გამოვლენ 18 დეკემბერს კომუნისტურ შაბათობაზე, რომელშიც 200 კოლმეურნე მიიღებს მონაწილეობას და გამომუშავებული თანხიდან 600 მანეთს ჩარიცხავენ ხუთწლედის ფონდში.

სიცივე სიცივედ, საქმეს კი მიხედვა...

ზემოიდრეთებულ ვადებში და უდანაკარგოდ მოკრიფონ მოსავალი — დღესდღეობით რესპუბლიკის მეციტრუსეებისათვის არა ბრის რა ამაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა. აცივებაც აჩქარებს მათ...

აი, რა უთხრა საქინფორმის კორესპონდენტებს საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და ბუნებრივი გარემოსადმი კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს თბილისის ამინდის ბიუროს უფროსმა ნ. ბერაძემ:

— უახლოეს დღეებში რესპუბლიკის ზორეულ რაიონებში მოსალოდნელია ნალექი, მთაში — თოვლი. დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში „ყვავილდებოდნად მინუსიანი ტემპერატურა იქნება. აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, გორისა და ხაშურის რაიონებში ჰაერის ტემპერატურა დაიწევს თხუთმეტ გრადუსამდე, დახარჩენ რაიონებში მინუს 3 - — მინუს 8 გრადუსამდე. დეკემბრის მეორე ნახევარში ზოგჯერ მოსალოდნელია ტემპერატურის დაცემა, თოვა. მთელთანად ამინდი ცალუბადი იქნება.

ზემქმნილმა სიტუაციამ სოფლის მეურნეობის მშრომელებისაგან მოითხოვა განსაზღვრულონ გადამწყვეტი ღონისძიებანი მოსავლის გადასარჩენად. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროში შეიქმნა ოპერატიული შტაბი, შემოშავდა ნარგავების დაცვის ისეთი აგროტექნიკური ღონისძიებანი, როგორიც არის შემობარვა, ახვევა, შეფუთვა, გაობნა ძველი სახეობანი, სხვა სასენი მასლების ფეს შედეგად წარმომობილი ავადმყოფობა. სამინისტროს სპეციალისტები იმყოფებიან სუბტროპიკულ მეურნეობებში, პრაქტიკულ რჩევებს აძლევენ მშრომელებს.

ყინვა განსაკუთრებით საშიშია ლიმონის ნაზი ხეებისათვის. სიცივისაგან მათი დაცვის ეფექტური მეთოდი ხდება ლიმონარიუმები, რომლებიც თბება ავტონომიური ენერგოკვების დამპარებით. ლიმონარიუმებს რესპუბლიკაში აშენებს გაერთიანება „საქსოფლთსტაციონალტრეტ“. გაერთიანების საწარმოო განყოფილების უფროსმა გ. ლოჩიშვილმა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში თქვა:

— უახლოეს დღეებში მწყობრში ჩადგება ორი ლიმონარიუმი, გალის რაიონის სოფელ ოტობაის კოლმეურნეობასა და ზუგდიდის რაიონის ანაკლიის საბჭოთა მეურნეობაში. 1983-1984 წლებში ლანჩხუთის, ცხაკაიის, ზუგდიდის, ხობის, გალის რაიონებში აშენდება მსგავსი ნაგებობები 41 ჰექტარ ფართობზე.

7 დეკემბრისათვის რესპუბლიკაში დამზადებულია 110.472 ტონა ციტრუსი. საკავშირო ფონდში გაიგზავნა 47.793 ტონა ნაყოფი — საგეგმო დავალებაზე ნაკლები (საქინფორმი).

ერთი კვირის დღიური

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულების მოსალოდნელი შედეგები

დაწინაურდნენ:

თბილისის № 1 ტრიკოტაჟის ფაბრიკის (დირექტორი ე. ”ფავაძე”) კოლექტივი, რომელმაც დეკემბრის 8 დღეში გათვალისწინებული 25 ათასი მანეთის ნაცვლად დამზადა 18 ათასი მანეთის პროდუქცია.

„საყოფოფიციის“ სარეგოო ბაგირგზა (დირექტორი — ო. მელქაძე) 8 დღის პროდუქციის გამოშვების საკალენდარულო მოცულობა მხოლოდ 38 პროცენტით შესრულა და მომხმარებელს დაიკლო 350 ათასი მანეთის საკონელი.

ბათუმის „ელექტროგენერატორი“ ქარხნის კოლექტივმა კი **(დირექტორი — ბ. კალმიანი)** ამ თვის განვლილ პერიოდში ერთგვარი „რეკორდი“ დაამყარა. ძმა საერთოდ არ დაუმზადებია პროდუქცია, მაშინ, როცა მისი გამოშვების საკალენდარულო მოცულობა 220 ათასი მანეთის ნაწარმს ითვალისწინებდა.

ახალციხის, ახალქალაქის რაიონების და **სამხრეთ ოსეთის** ავტონომიური ოლქის მეცხოველეები (აგრონომიტენეული გაერთიანებათა თავმჯდომარეები ე. ხითარიშვილი, მ. ალავერდოვი, ქ. ბედოევი). მათ შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით ნაკლები ხორცი მიაყიდეს სახელმწიფოს და წლიური გეგმის შესრულების მაჩვენებლთაგან ჩამორჩენთან სამეაღლი რესპუბლიკურ დონეზე.

ჩამორჩნენ:

სოხუმის ავეჯის ფაბრიკის (დირექტორი — კ. ბოლოკაუა) კოლექტივი, რომელმაც დეკემბრის 8 დღეში გათვალისწინებული 25 ათასი მანეთის ნაცვლად დამზადა 18 ათასი მანეთის პროდუქცია.

ბათუმის „ელექტროგენერატორი“ ქარხნის კოლექტივმა კი **(დირექტორი — ბ. კალმიანი)** ამ თვის ექვსი პერიოდში ერთგვარი „რეკორდი“ დაამყარა. ძმა საერთოდ არ დაუმზადებია პროდუქცია, მაშინ, როცა მისი გამოშვების საკალენდარულო მოცულობა 220 ათასი მანეთის ნაწარმს ითვალისწინებდა.

ახალციხის, ახალქალაქის რაიონების და **სამხრეთ ოსეთის** ავტონომიური ოლქის მეცხოველეები (აგრონომიტენეული გაერთიანებათა თავმჯდომარეები ე. ხითარიშვილი, მ. ალავერდოვი, ქ. ბედოევი). მათ შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით ნაკლები ხორცი მიაყიდეს სახელმწიფოს და წლიური გეგმის შესრულების მაჩვენებლთაგან ჩამორჩენთან სამეაღლი რესპუბლიკურ დონეზე.

სამხრეთ რეგიონის მაგისტრალი

ასეა დასათაურებული საველე ფურცელი, რომელიც მიეძღვნა მარადა-ახალქალაქის რკინგზის მშენებლობას. იგი ახლახან გამოუშვა გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის“ რედაქციამ.

ეს მშენებლობა ჩვენს რესპუბლიკაში მეთერთმეტე ხუთწლედის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ობიექტია. როგორც „სსრ კავშირის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებშიც“ არის ნათქვამი, უნდა გაგრძელდეს მარადა-ახალქალაქის რკინგზის მშენებლობა“..

ეს სიტყვები საველე ფურცელს დევიზია და იგი წითელ ჩარჩოში ჩასმული.

ახალი მაგისტრალის მშენებლობას თუ ეწევიან, დარწმუნდებით, რომ მას ინტერნაციონალური კოლექტივი აშენებს. აქ ჩვენი ქვეყნის 18 ერისა და ეროვნების წარმომადგენლები შრომობენ. სწორედ მათს შემოქმედების შრომას ასახავს საველე ფურცელი, სადაც დაბეჭდილია მასალები „ტუსენ“, ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. კერძოდ, მთთავსებულია № 692 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის მთავარი ინჟინრის ვ. კაკაძის, ლაანდაგდამგებთა ბრიგადირის ა. ვალიევის, ლაანდაგსაგები მანქანის უფროსი მემანქანის ვ. ტრეგუბოვისა და მშენებელი მუშის ს. ავტიანის მასალები.

საველე ფურცელი მოხდენილად არის ილუსტრირებული და მკითხველს საშუალებას აძლევს ნათლად წარმოადგინოს ახალი მაგისტრალის დღევანდელი შრომითი ცხოვრება.

გ. ხაჩატურიანი.

ДЕКЕМБРИ — ДАМКВ-ДАМ ... ДЕКЕМБРИ — ДАМКВ-ДАМ

Дღეს უფრო მეტი, ვიდრე გუშინ, ხვალ უფრო მეტი, ვიდრე დღეს!

ამ დევიზით მუშაობს დღეს ჩვენი რესპუბლიკის სახელოვანი მუშათა კლასი, და ამიტომაც სულ უფრო მძაფრდება ქალაქებსა და რაიონებში ფართოდ გაშლილი საერთო-სახალხო ბრძოლა დეკემბრისა და მილიონად 1982 სამეურნეო წლის მაღალი მოსავლიანობის დასაცავად.

სასიხარულო შედეგებიც მიღწეულია, მაგალითად **ავხალციხის ახალ რესპუბლიკის** სამრეწველო საწარმოებში 7 დეკემბერს 2 მილიონ 208 ათასი მანეთის პროდუქცია მისცეს სამშობლოს, რაც 708 ათასი მანეთით სკკპ-ის წინადადიდ გამოშვებული პროდუქციის მოცულობას.

მარნეულის რაიონის სამრეწველო საწარმოებმა 8 დეკემბერს მილიონ 608 ათასი მანეთის პროდუქცია მისცეს სამშობლოს, რაც 411 ათასი მანეთით მეტია წინადღიდ გამოშვებულ მოცულობაზე. მოწინავეთა შორის არიან ქალაქ ფოთის მშრომელები, რომლებიც დღითდღე აჩქარებენ წარმოების ტემპს.

წარმატებით უტეევენ ახალ ხუთწლედს ქ. ზუგდიდის მშრომელებიც. უკანასკნელი სამი დღის მანძილზე აქ საშუალოდ დღიურად წარმოებამ ნახევარ მილიონ მანეთს გადაამეტა და თვის დასაწყისიდან სამი მილიონი მანეთი შეადგინა.

კარგი მაჩვენებლებით დაიწყეს თვის პირველი დეკადა **სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, წყალტუბოს, ახმეტის, ბოლნისის, ვანის, გეგეჭკორის, გორის, კასპის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, მახარაძის, მარნეულის, მაიაკოვსკის, სიღნაღის, წულუკიძისა და ცხაკაიის რაიონის** მშრომელებმა.

დეკემბრის სტარტზე აღებული ტემპი სამიდროა. იგი სულ უფრო ღრმად გვარწმუნებს, რომ ბრძოლა — გეგმა-ვალდებულებათა უთუო შესრულებისათვის წარმატებით დაგვირგვინდება.

ახლა მთავარია თითოეული ქალაქის, რაიონის, სოფლის, საწარმოს მშრომელებმა, პარტიელი, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების ხელმძღვანელმა ღრმად შეიგნონ მეთერთმეტე ხუთწლედის მეორე წლის გეგმების შესრულებისათვის გაჩაღებული ლაშქრობის მთელი მნიშვნელობა.

ამავე დროს რესპუბლიკის ზოგიერთ ქალაქსა და რეგიონში იგრძნობა შრომითი რიტმის ერთგვარი შენელება, რასაც, შეიძლება, არასასურველი შედეგები მოჰყვეს. თუ ამთავითვე არ იქნება მიღებული სათანადო ზომები.

საგანგებო ღონისძიებები უნდა განახორციელონ რესპუბლიკის ინდუსტრიის წამყვანმა რეგიონებმა, სადაც ფაქტობრივად წყდება არამარტო მიმდინარე წლის, არამედ მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმების შესრულების ბედი.

8 დეკემბრის რესპუბლიკის დედაქალაქის სამრეწველო საწარმოებმა გამოუშვეს 7 მილიონ 80 ათასი მანეთის პროდუქცია, წინანდელთან დამზადებულზე 60! ათასი მანეთით ნაკლები, **ქუთაისში** — 2 მილიონ 300 ათასი მანეთისა, ანუ 300 ათასით ნაკლები. აღსანიშნავია, რომ 6 დეკემბერთან შედარებით მომდევნო ორ დღეში **თბილისში, ქუთაისსა** და **რუსთავში** — რესპუბლიკის ამ მსხვილ სამრეწველო ცენტრებში — პროდუქციის გამოშვების ტემპი შემცირდა. ასეთივე მდგომარეობაა **ახაშის, ბოგდანოვკის, ყვარლის, ზესტაფონის** და **საგარეჯოს** რაიონებში.

ზემოაღნიშნული ქალაქებისა და რაიონების პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელები იმედით გვიცხობენენ, **რატომ** ფერხდება ამ რეგიონებში წარმოების ზრდის ტემპი და რა ღონისძიებებს სახავენ მდგომარეობის უსწრაფესად გამოსწორებისათვის. ახლა ამოცანა ის არის, რომ შეკმნილ სიძნელეებს დაეუპირისპირთნ წარმოების ზუსტი ორგანიზაცია, მაღალორგანიზებულობა, მაღალნაყოფიერი შრომა, გამოვიყენოთ რთულ პირობებში უნარიანი მანეგერირების, წარმოების გადამწყვეტ უნებებზე ძალთა უსწრაფესად გადაჯგუფების მთელი ხელოვნება.

„კომუნისტის“ ოპერატიული მიმოხილვა

ახალციხის, ახალქალაქის რაიონების და **სამხრეთ ოსეთის** ავტონომიური ოლქის მეცხოველეები (აგრონომიტენეული გაერთიანებათა თავმჯდომარეები ე. ხითარიშვილი, მ. ალავერდოვი, ქ. ბედოევი). მათ შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით ნაკლები ხორცი მიაყიდეს სახელმწიფოს და წლიური გეგმის შესრულების მაჩვენებლთაგან ჩამორჩენთან სამეაღლი რესპუბლიკურ დონეზე.

საბჭოთა კავშირი: ბიოგრაფიის ფურცლები

დიადი ერთობის

ე. ა. შევარდნაძე,

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის

კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური

კომიტეტის პირველი მდივანი

თავიდაან ერთი მძლე კავშირი, ძმური... საბჭოთა კავშირის ჰიმნის ამ სიტყვებით იწყება ჩვენი ქვეყნის ყოველი ეხმარი დღე. მაღე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი 60 წლისთავს იზეიმებს. ამ კავშირის შექმნა, როგორც ხაზგასმით აღნიშნავს სკკპ ცენტრალური კომიტეტი, ვ. ი. ლენინის იდეების ჭორაცშესხმა, შემადგენლობით მრავალეროვანი, იდეოოგიითა და პოლიტიკით, ორგანიზაციული აგებულებით, საქმიანობის პრინციპებით ღრმად ინტერნაციონალისტური ბოლშევიკთა პარტიის უდიდესი დამსახურებაა.[1]

სახელოვანი იუბილე საბჭოთა საქართველოსთვის იმითაც არის ღირსშესანიშნავი, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ამ იუბილეს წინ მიიღო დადგენილება „სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის მოსამზადებლად საქართველოს სს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“, რომელშიც აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის კომუნისტები, ყველა შრომელი ეზადებიან, რათა საყოველთაო-სახალხო დღესასწაული აღნიშნონ როგორც „დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენა, რომელიც მოწმობს ლენინური ერთიანული პოლიტიკის, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის გამარჯვებას“.[2]

ეს დოკუმენტი კიდევ ერთი ნათელი გამოვლინებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დაუცხრომელი ზრუნვისა საქართველოს პარტიული ორგანიზაციისათვის, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემდგომ ყოველმხრივ განვითარებისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა რომ შესაძლებლად მიიჩნია შეესწავლა და განეზოგადებინა საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ის გამოცდილება, რომელიც მათ მრავალეროვანი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს სახელოვნი წლისთავისათვის მზადების დროს შეიძინეს, ეს ბევრ რამეს გვეალებს. თავისთავად ფრიად ნიშანდობლივი ეს ფაქტი ორკეცად ნიშანდობლივი ხდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული დადგენილება შემავდე უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია, რომელიც ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საქართველოს პარტიული ორგანიზაციის, ჩვენი რესპუბლიკის თაობაზე მიიღეს პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებიდან განკალილ ათწლეულში[3]. ჩვენთვის ამ დადგენილებას ისტორიული მნიშვნელობა ენიჭება და რესპუბლიკამ მის შესასრულებლად გაწეული მუშაობის შეფასებად აღიქვა ისიც, რომ რევოლუციურ მოძრაობაში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასა და განტაცებაში დამსახურებისათვის, დიდი სამამულო ომის დროს ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის, სამეურნეო და კულტურულ შენებლობაში თბილისის მშრომელთა მიერ მოპოვებული წარმატებებისათვის ქალაქი თბილისი ლენინის ორდენით დაჯილდოდეს.

სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის მოსამზადებლად რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობის შესახებ მიღებულ დადგენილებაში ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ პარტიულ ორგანიზაციათა მთელი ძალისხმევა ხმარდება მშრომელთა დარაზმვას პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მარტის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებების, მიმდინარე წლისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლეულის გეგმების შესასრულებლად, რომ პარტიული კომიტეტები ისწრაფიან დამკვიდრონ დადებითი შედეგები, რომლებიც მიღწეულია პარტიის თბილისის, საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა და საქართველოს სსრ პარტიული ხელმძღვანელობისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის, მინისტრთა საბჭოს მიმდინარე გადაწყვეტილებების რეალიზაციის პროცესში.

პარტიული და სახელმწიფო ფიზიკურ-ლენინის განმტკიცებისათვის, სწორი საკადრო პოლიტიკისათვის და ნებატიური მოვლენების წინააღმდეგ ყველა დონეზე და ყველა რგოლში გაჩაღებული პრინციპული, უკომპრომისო ბრძოლის შეოჭებით რესპუბლიკაში ძირეულად გაჯანსაღდა ვითარება, განმტკიცდა მისი ეკონომიკური პოტენციალი, მშრომელები წარმატებით წყვეტენ კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს. მაგალითად, 1972 წლიდან გაბვიელი ათწლეულის მანძილზე რესპუბლიკაში ერთიორად გადიდდა სამრეწველო წარმოების მოცულობა, თანაც ეს მატება უფრო მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე წინა 20 წლის განმავლობაში იყო. მოლიანად სოფლის მეურნეობის პროდუქციის საშუალო წლიური წარმოება გაიზარდა 50 პროცენტით და მეტად; საზოგადოებრივ მეურნეობებში კი ეს მატება უფრო დიდი — 61 პროცენტი. თითქმის გაორკეცდა მშენებლობაში ათვისებული კაპიტალური დაბანდების მოცულობა, გაუმჯობესდა საერთო ეკონომიკური მაჩვენებლები. ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი და ეროვნული შემოსავალი 1971 წელთან შედარებით 1,9-ჯერ გაიზარდა. საშუალო საკვლევო მაჩვენებლებს გაუსწრო საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპმა.

მეათე ხუთწლედი ვადამდე შეეასრულეთ. სკკპ XXVI ყრილობაზე აღინიშნა, რომ საქართველოს კომპარტიამ რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების რეშმის ნაწილი ადრე შეასრულა[4]. ხოლო თბილისში გამართულ სათუბიელო ზეიმზე ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, რომ საქმე კარგად მიგვიდის, რომ რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ სწორი დასკვნები გამოიტანა თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ მიღებულ დადგენილებაში გამოთქმული კრიტიკიდან[5].

კარგად დავიწყეთ მეთერთმეტე ხუთწლედი. 1981 წლის მუშაობის შედეგების მიხედვით საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებისათვის საქართველოს სს რესპუბლიკა ზედიზედ მეცხრედ დაჯილდოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

ამასთან ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ უბრალესი ყურადღება ეთმობა იმ ამოცანების გადაწყვეტას, რომლებიც უშუალოდ ეკუთვნიდნენ რესპუბლიკის ადგილს საერთო-საკავშირო შრომის დანაწილებაში. შრომის ეს დანაწილება განასახიერებს **ეკონომიკის სფეროში ინტერნაციონალურის და ეროვნულის ჰარმონიული შეხამების პრინციპს.**

---

[1] იხ. „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 60 წლისთავის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის 19 თებერვლის დადგენილება. თბ; 1982, გვ. 4.

[2] იხ. „კომუნისტი“, 1982 წლის 20 ივლისი.

[3] იხ. „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ (1972 წ.); „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ (1974 წ.); „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ“ (1976 წ.); „აფხაზეთის სსრ რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების შესახებ“ (1978 წ); „საქართველოს სს რესპუბლიკა სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ (1979 წ.); „რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობისა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებულ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ (1981 წ.); „სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისთვის მოსამზადებლად საქართველოს სს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ (1982 წ.).

[4] იხ. „კომუნისტი“, 1982 წ. 20 ივლისი.

[5] იხ. „სკკპ XXVI ყრილობის მასალები“. თბ., 1981, გვ. 108.

[6] იხ. „კომუნისტი“, 1981 წლის 28 მაისი.

ინტერნაციონალურის და ეროვნულის ინტეგრაცია ჩაქსოვილია თვით მეურნეობის სოციალისტურ სისტემაში, რომლის საფუძველს შეადგენს წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება. ეს სისტემა პირობებს ქმნის საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს ყოველმხრივი აყვავებისათვის, ცალ-ცალკე თითოეული მოკავშირე რესპუბლიკისა და საერთოდ მთელ საბჭოთა კავშირის ეკონომიკური განვითარების ორგანული შეზამებისათვის.

საბჭოთა საქართველოს მატერიალური პოტენციალის განმტკიცებაზე, ქვეყნის ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში მისი წვლილის გადიდებაზე ლაპარაკია აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამსწინანდელ დადგენილებაში ჩვენი პარტიორგანიზაციის შესახებ, რომელიც სსრ კავშირის 60 წლისთავის მზადებასთან დაკავშირებით იქნა მიღებული. ამის დასადასტურებლად ვიტყვით, რომ ჩვენს ქვეყანაში მიღებული მთელი მანგანუმის მადნის მოცულობის დაახლოებით 30 პროცენტი, მთელი მაგნიტაური ელმავლების 30 პროცენტი, ციტრუსების თითქმის 100 პროცენტი, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის 94 პროცენტი, ყურძნის 13 პროცენტი, ხილ-კენკრის დაახლოებით 11 პროცენტი ამჟამად საქართველოს წილად მოდის.

საგულისხმოა ისიც, რომ ათი წლის მანძილზე რესპუბლიკის წილი ქვეყნის მთლიან საზოგადოებრივ პროდუქტში გაიზარდა 1,3-დან 1,5 პროცენტამდე; ეროვნულ შემოსავალში 1,3-დან 1,6 პროცენტამდე; მრეწველობის პროდუქციის წარმოებაში — 1,3-დან 1,4 პროცენტამდე; სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადებაში — 1,2-დან 1,8 პროცენტამდე; სოციალ საქონელბრუნვის მოცულობაში — 1,5-დან 1,6 პროცენტამდე; საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობაში — 1,8-დან 2 პროცენტამდე. უნდა აღინიშნოს, რომ 0,1 პროცენტი არცთუ ისე მცირე სიდიდეა, როგორც შეიძლება ერთი შეხედვით გვეჩვენოს. მაგალითად, რესპუბლიკის მრეწველობის პროდუქციის ზვედრითი წილი მარტოოდენ ამ მოცულობით გადადება მოასწავებს გაგვიალ ათწლეულში სამრეწველო წარმოების ზრდას 4 მილიარდი მანეთით და მეტად. ეს მონაცემები დამაჯერებლად მოწმობს, თუ როგორ გაიზარდა საქართველოს სს რესპუბლიკის ზვედრითი წილი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში.

თვით ცხოვრება სულ უფრო მეტად ადასტურებს, თუ რაოდენ სწორია პარტიის კურსი, რომლის მაზნეა ყოველნაირად შეუზამოს ცენტრალიზებული დაგეგმვა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქებისა და ოკრუგების ფართო ინიციატივას, რაოდენ ბრძნული და ეფექტიანია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკა — ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ყველა ხალხს ყოველმხრივი თანამშრომლობის, ურთიერთდახმარების, ინტერნაციონალური ერთობის პოლიტიკა.

ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა და ძმობა დამაჯერებლად მოწმობს, რომ ჩვენს მრავალეროვან სახელმწიფოში წარმატებით გადაიჭრა ეროვნული საკითხი. ეს არის ხორცშესხმული ინტერნაციონალიზმი. სოციალისტური ერების ინტერნაციონალური და ეროვნული ინტერესების ჰარმონია ჩვენი სოციალისტური საზოგადოების, განვითარების ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალაა.

შეგვიძლია უყოყმანოდ ვთქვათ: იმპერიალისტები ვერასოდეს ვერ ეწევიან ამას, რომ საბჭოთა საზოგადოების მრავალეროვნულის ფაქტორი მისი დესტაბილიზაციის ფაქტორი გახდეს, ვერასოდეს ვერ ეწევიან ჩვენი მტრები იმას, რომ ჩვენი ქვეყნის ხალხებში აღორძინდნენ კარგა ხანია დავიწყებას მიცემული ეროვნული ანტაგონიზმი და ეროვნული შუღლი. ეს არის ჩვენი განვითარების ორი მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული ტენდენციის — თითოეული საბჭოთა ერის ყოველმხრივი აყვავების და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის საფუძველზე ამ ერების ასეთივე ყოველმხრივი დაახლოების ტენდენციების გაუგებლობა, უფრო ზუსტად, განზრახ გაუკუღმართება.

და, პირიქით, სწორედ ეროვნული და ინტერნაციონალურის ამ დიალექტიკის, ისევე როგორც ერებისა და საერთოდ ეროვნული ურთიერთობის განვითარების დიალექტიკის გაგება, პრაქტიკულ საქმიანობაში ამ გაგებაზე დაყრდნობა უწყობს ხელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წარმატებულ ხელმძღვანელობას ეროვნული ურთიერთობის განვითარებისადმი.

მარქსიტ-ლენინელები იმით ხელმძღვანელობენ, რომ საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის ინტერნაციონალიზაცია ობიექტური პროცესია. ეს პროცესი ამა თუ იმ ფორმით მეტ-ნაკლებად მიმდინარეობს მსოფლიო მასშტაბით. მაგალითად, ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „კაპიტალიზმის მთელი სამეურნეო, პოლიტიკური და სულიერი ცხოვრება სულ უფრო და უფრო ინტერნაციონალური ხდება უკვე კაპიტალიზმის დროს“[7]. „სოციალიზმი, — ხაზგასმით აღნიშნავდა ვლადიმერ ილიას ძე, — მთლიანად ინტერნაციონალურსა ხდის მას“.[8]

ვ. ი. ლენინი, პატივა შემოქმედებითად ავითარებდნენ მარქსისტულ მოძღვრებას ერებისა და ეროვნული ურთიერთობის შესახებ და ეროვნულ საკითხს განხილავდნენ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის პრიზმაში, ექსპლოატაციისგან თავისუფალი ახალი საზოგადოების შექმნისათვის ბრძოლასთან მჭიდრო კავშირში, რადგან მარქსიზმ-ლენინიზმის თვალსაზრისით **ეროვნული საკითხის გადაწყვეტა** — ეროვნული შუღლის დაძლევა, ცალკეული ერების მიერ მეორეთა ჩაგრის ლიკვიდაცია, კოლონიალიზმის, შოვინიზმის, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის მოსპობა — **შესაძლებელი მხოლოდ სოციალური საკითხის გადაწყვეტის პირობით,** ანუ ერთი ერსის მიერ მეორის ექსპლოატაციის, იმ კლასობრივი ანტაგონიზმის მოსპობის პირობით, ეროვნულ ანტაგონიზმს რომ წარმოშობს.

„მუშათა კლასის ინტერესები, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — როგორც საერთოდ პოლიტიკური თავისუფლების ინტერესები... მოითხოვს ამა თუ იმ სახელმწიფოს გამოუკლებელ ყველა ეროვნების უალრესად სრულ თანასწორუფლებიანობას“ და ამასთანავე „ერთა შორის ყოველგვარი ზღუდის მოშლას...“[9] ისეთმა მიდგომამ უზრუნველყო ქვეყნის ყველა ხალხის რევოლუციური ძალების აქტიური მონაწილეობა რუსეთის პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაში, რომლის პროცესშიც ბოლშევიკთა ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით მტკიცდებოდა და იწრთობოდა რუსეთის ყველა ერისა და ეროვნების მშრომელთა მეგობრობა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ უალრესად საჭირო გახდა გამოგვეანა სახელმწიფო ფაქტის ისეთი ფორმა, რომელშიც მთელი ახალი საზოგადოების საერთო ინტერნაციონალისტური მიზნები და ინტერესები ორგანულად შეზამებული იქნებოდა ქვეყნის მკვიდრ ხალხთა ეროვნულ ინტერესებთან. მუშათა და გლეხთა მრავალეროვანი სახელმწიფოს ასეთი ფორმა, რომელიც ვ. ი. ლენინმა აღმოაჩინა, გახდა თანასწორუფლებანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ნებაყოფლობითი კავშირი.

სუვერენული ეროვნული სოციალისტური რესპუბლიკების ნებაყოფლობითი სახელმწიფო კავშირს საფუძვლად უდევს დემოკრატიული ცენტრალიზმისა და საბჭოთა სოციალისტური ფედერალიზმის პრინციპები, რომლებიც უზრუნველყოფენ საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესების ორგანულ შეზამებას თითოეული რესპუბლიკის ინტერესებთან, ანუ ინტერნაციონალურისა და ეროვნულის ინტეგრაციას. ოგივე პრინციპები, რომლებიც უკლებლივ ყველა ხალხის სრულ პოლიტიკურ თანასწორუფლებიანობას უზრუნველყოფენ, საფუძველად დაედო ავტონომიური ეროვნულის შ

დიალექტიკა

რესპუბლიკის პარტორგანიზაცია ითვალისწინებს რეალურ, კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებას, რომელიც მოითხოვს ეროვნულობის ურთიერთობის მწვანეთობის შესატყვისი სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებას მშრომელებელი სოციალიზმის პირობებში, ეროვნულისა და ინტერნაციონალურის მჭიდრო ინტეგრაციას.

რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების ურთიერთგადგებისა და ნდობის ატმოსფეროს დამკვიდრებას ხელს უწყობს მუდმივი ზრუნვა მათი კულტურების შემდგომი განვითარებისათვის, თითოეული ხალხის ეროვნული ტრადიციების, თითოეული ბოლოდ ეროვნული ენის, ეროვნული ფოლკლორის ღირსეული პატივისცემა. საქართველოს კომუნისტებს მოუხდათ ერთიანობისა ურთიერთობის შემდგომ სრულყოფასთან დაკავშირებული ბევრი კონკრეტული საკითხის გადაწყვეტა, წარსულში დაშვებული დარღვევების გასწორება. მეგობრობასა და ნდობის, ურთიერთდახმარებისა და ძმობის დამკვიდრებას მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს ყურადღება და ზრუნვა თითოეული ხალხის დედაენის განვითარებისათვის. უმჯობესდება ქართული, აფხაზური, ოსური, სომხური, აზერბაიჯანული და ბერძნული ენების სწავლება.

ამავე დროს ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ბავშვებმა დედაენის გარდა, თავისუფლად იცოდნენ რუსული ენა — ერთიანობისა ურთიერთობის, საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის ენა.

ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ იმას, რომ მშრომელებს ჩავუნერგოთ რუსი ხალხისადმი დიდი პატივისცემა. რუსეთისა და საქართველოს, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა რესპუბლიკის მშრომელთა ძმობასა და მეგობრობას ღრმა ფესვები აქვს, ეს თანამეგობრობა იწრთობოდა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, უცხოელ მტერთა წინააღმდეგ ბრძოლაში. 1983 წელს საზეიმოდ აღინიშნება გეორგიევსკის ტრაქტატის — რუს და ქართველ ხალხთა მეგობრობისა და ძმობის პიროელი მანიფესტის 200 წლისთავი. საქართველოსა და რუსეთის დაშოყვრებამ ქართველი ხალხი იხსნა ფიზიკური გაქნდგურების საფრთხისაგან, აზიისა რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობას.

დარშუნებული ვართ: 200 წლისთავის დღესასწაული, საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობისა და ძმობის ახალი მძლავრი დემონსტრაცია იქნება. მთელი საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ ათგზის 30-მდე ძეგლი, რომლებიც უკვდავყოფენ რუსული კულტურის მოღვაწეებს, ამ გზით რომ ჩამოდიოდნენ საქართველოში, და ქართული კულტურის მოღვაწეებს, ამავე გზით რომ მივარეთბოდნენ რუსეთში, სანდანაც ანთებენ შეეტ-განმათავისუფლებელი იდეებისა, რომელთა უშუალო ადამქმელი თავისი ბუნებით ინტერნაციონალური საბჭოთა ხალხი.

რესპუბლიკის ყველა მშრომელს ახსოვს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები: „სწორი იყო ჩვენი წინაპრების არჩევანი 200 წლის წინათ. რუსი და ქართველი ხალხების მეგობრული ურთიერთობა გაიზარდა, კიდევ უფრო გაძლიერდა საქართველოს ეკვნი სოციალისტური ათვლეულის მანძილზე. სწორედ ეს არის სოციალიზმის ისტორიული მისია — დაახლოოს და დაამყაროს ხალხები, დამკვიდროს მათ შორის თანაზმობა და მშვიდობა“[13].

და სიხარულით უნდა აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა საქართველოში, როგორც ეს ითქვა 1981 წლის მაისს თბილისში გამართულ ზეიმზე, ნამდვილი ინტერნაციონალური მეგობრობის ატმოსფერო სუფევს, რომ სამოცდათზე მეტი ეროვნების წარმომადგენელები მხარდაჭერ იღებენ რესპუბლიკისა და მთელი საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ და რომ ჩვენი რესპუბლიკის გამოცდილება კიდევ ერთი დამაჯერებელი დასტურია ჩვენი პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის სისწორისა[14].

ერთა და ეროვნებათა მეგობრობა და ძმობა, მათი ერთიანობა სოციალიზმის დიადი მონაპოვარია. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ უკვე გადაწყვეტილია ყველა საკითხი ეროვნული ურთიერთობის სფეროში. სკკპ XXVI ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ისევი დიდი მრავალეროვანი სახელმწიფოს განვითარების ინდამიკა, როგორიც ჩვენი სახელმწიფოა, წარმოშობს ბევრ პრობლემას, რომლებიც პარტიის გულისხმიერ ყურადღებას მოითხოვენ[15]. ამ პრობლემებს წამოაწია, ეროვნულ ურთიერთობათა განვითარების, ინტერნაციონალური და ეროვნული საწყისების ინტეგრაციის პროცესის მართვის შუდმივი სრულყოფა პრინციპულად კლასობრივ, პარტიულ, მტაცეცე მეცნიერულ საფუძველზე დაკვშირებული მთელ რიგ გარემოებებთან. საკმარისია, მაგალითად, გავიხსენოთ სოციალიზმისადმი მტრული ძალების ბრიკები, მათი ცდები — ისე გამოიყენონ ეროვნული თავისებურებანი და სპეციფიკა, რომ შეფლი ჩამოგდონ ერთი შორის. აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა სოციალისტური ინტერნაციონალიზმი და საბჭოთა პატრიოტიზმი თავისთავად, ავტომატურად არ წარმოიშობა. მისი ჩამოყალიბებისა და დამკვიდრებისათვის საჭიროა თანმიმდევრული აღმზრდელობითი მუშაობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელიც მომდინარე წლის იანვარს დამლევს გაიმართა და მიეძღვნა რესპუბლიკის კომუნისტთა ამოცანებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის დადგენილების შესრულების საქმეში, შეგიმეშვიეთ ფართო პროგრამა იმისა, თუ როგორ უნდა უზრუნველვყოთ იდეური აღზრდის უფრო მეტი ეფექტიანობა, როგორ უნდა გავწიოთ კაპიტალიზმის წინაშე სოციალიზმის ისტორიულ უპირატესობათა, მათ შორის ეროვნულის საკითხის გადაწყვეტაში მის უპირატესობათა არგუმენტირებული პროპაგანდა, მიზანდასახული მუშაობა რესპუბლიკის ერთა და ეროვნებათა შემდგომი დაახლოებისათვის სსრ კავშირის ყველა ხალხის თანასწორუფლებანობის, ურთიერთპატივისცემის, ნდობის, ძმური მეგობრობის საფუძველზე.

პლენუმმა განიხილა გადასაწყვეტ სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ამოცანათა იდეოლოგიური უზრუნველყოფის ახალი, უფრო ეფექტიანი ფორმების შემუშავების, აგრეთვე უკვე არსებული გამოცდილების გახზოგადების საკითხები. ამასთან, მთელი ჩვენი საქმიანობის იდეოლოგიურ უზრუნველყოფაზე როცა ვლაპარაკობთ, მხოლოდ ნაწამოკლე, ამა თუ იმ პოვლენებთან, საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებულ ერთჯერად ღონისძიებებს კი არ ვგულისხმობთ, არამედ, უწინარეს ყოვლისა, მზადდებულობაზე გვაქვს ადამიანთა სულიერი, ზნეობრივი აღზრდის, მათთვის კომუნიზმის მშენებლის — პატრიოტისა და ინტერნაციონალისტის ძალალი თვისებების ჩანერგვის პროცესის მიზანდასახული მართვა.

იდეოლოგიური უზრუნველყოფა მოითხოვს ნებისმიერი პრობლემისადმი საფუძვლიან, ყოველმხრივ მიდგომას, ამ პრობლემის არსში ჩაწვდომის, მასში გარკვევის უნარს.

კაპიტალი ორგანიზაციები ხელძღვანელობენ პრინციპით — თვე არ აარიდონ ცხოვრების მიერ წამოჭრილ არც ერთ საკითხს, რაც უნდა რთული იყოს იგი. რაკი საკითხი წამოიჭრა, ის უპასუხოდ არ უნდა დაეტოვოთ, სხვაგვარად შეიძლება იგი მცდარი განმარტების საგანი გახდეს. რაკი პრობლემა არსებობს, მას თვალი უნდა გავუსწოროთ, უნდა გადავეჭროთ, სანამ შედეგად გამწვავდებოდეს.

მაგალითად, იყო „პერიოდი, როცა რესპუბლიკაში სათანადო ყურადღება არ ეთმობოდა კულტურის ძეგლებს, რომლებსაც ხალხი პატივს სცემს. ამის შედეგად საკითხი იდეოლოგიურად გამწვავდა. საკმაოდ დასაბუთებულად, მთელი სერიოზულობით სკამდნენ ამ საკითხს კომუნისტები, ადამიანები, რომლებიც ნამდვილად პატივს სცემენ ხალხის პოგრერსულ ტრადიციებსა და კულტურულ მონაპოვრებს, რომლებსაც ესმით, რომ საბჭოთა მშრომელები ყოველივე იმ საუკეთესოს უშუალო და ეროვნული მეძეკიდრეები არიან, რაც წინა თაობებმა შექმნეს. ძაგრამ, ამასთან ერთად დემაგოგიანი, რომლებიც სპეკულაციას ეწეოდნენ ნაკლოვანებებით და უარყოფენ ეროვნულ ინტერნაციონალიზმს, ეროვნულ ინტერნაციონალიზმს, ეროვნულ ინტერნაციონალიზმს,

მეხუთე პრაღაში

პრაღა. ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა გ. ჰუსაკმა 6 დეკემბერს მიიღო ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, სამთავრის კაშნერის მარშალი ვ. გ. კულიკოვი და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსი, არმიის გენერალი ა. ი. გრიბკოვი, რომელმაც საბჭოთა ვიზიტად აიარჩია ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკაში.

საკავშირო და ახალი ამბების საინფორმაციო კორესპონდენტები გვაცნობებენ

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ

9 დეკემბერი

სახავენ მომავლის გეგმებს

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის სესია

ულან-ბატორი. *დღეს აქ გახსნეს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის მორიგი სესია.* მის მუშაობაში მონაწილეობენ მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდუმის თავმჯდომარე ი. ცედენბალი, რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები. დამსწრეთ წუთიერი დუმილით პატივი სცეს ლ. ი. ბრეჟნევის ხსოვნას.

სესიაზე იმსჯელა ხუთწლედის მეორე წლის საგეგმო დავალებათა შესრულების წინასწარ შედეგებზე, განიხილა და დამტკიცა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების გეგმა, აგრეთვე მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის 1983 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

მოხსენება გააკეთა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები. დამსწრეთ წუთიერი დუმილით პატივი სცეს ლ. ი. ბრეჟნევის ხსოვნას.

სესიის იმსჯელა ხუთწლედის მეორე წლის საგეგმო დავალებათა შესრულების წინასწარ შედეგებზე, განიხილა და დამტკიცა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების გეგმა, აგრეთვე მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის 1983 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

ᲕᲘᲢᲐᲠᲘᲡᲐ ᲓᲘᲒᲐᲜᲨᲘ

ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ. *ლიბანის პრემიერ-მინისტრმა შ. ჯაზანმა კვლავ ბაზგანთი აღნიშნა, რომ აუცილებელია ლიბანის ტერიტორიიდან, უწინარეს ყოვლისა, ლიბანის მოიიერთოდან დაუყოვნებლივ და მთლიანად გაიყვანონ ისრაელის საოკუპაციო ჯარები, რათა ლიბანის არმიამ შეძლოს თავის კონტროლს დაუკვემდებაროს არსებული სიტუაცია.*

ამ რაიონებში, აგრეთვე ქვეყნის ჩრდილოეთში ვითარება, როგორც იუწყებიან, კვლავ ეტად დაძაბულია. ისრაელის მხეროლინის მიერ პროვოკირებული შეიარაღებული შეტაკებების დროს ქალაქ ალეის გარეუბნებში სამი კაცი მოკვლა.

ჩრდილეთი ლიბანის ქალაქ ტრიპოლში დაძაბავე ელექტრომაქანა აფეთქეს დანაღმული ავტომანქანა იმ შენობასთან, რომელშიც მოთავსებულია ლიბანის პროგრესულ- სოციალისტური პარტიის ადგილობრივი განყოფილება. აფეთქების შედეგად რვა კაცი მოკვდა და თორმეტი დაშავდა.

„თეთრი სახლის“ საშიში კურსი

● ᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲒᲠᲔᲗᲔᲜ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘᲡ ● ᲞᲝᲣᲬᲝᲗᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲣᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲝᲑᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. *თეთრი სახლი აძლიერებს ზეგავლენას კონგრესზე, ხელებს უგრეხს ბის წევრებს, რათა დაამტკიცებინონ მთ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული პირველი დარტყმის ახალი სტრატეგიული ბირთვული რაკეტების — „მ ჯ“ რაკეტების განლაგების სიშორე ვიგეშები.*

პრეზიდენტმა რეიგანმა წერილი გაუგზავნა წარმომადგენელთა პალატის 435-ეე წევრს იმასთან დაკავშირებთან, რომ მათ კენჭი უნდა უყარონ 1983 საფინანსო წლის სამხედრო ბიუჯეტს, რომელიც შეიცავს აგრეთვე სახსრებს რაკეტების წარმოებისათვის. წერილში პრეზიდენტი ამტკიცებს თითქოს „მ“ რაკეტების გასლაგება „ხალისად აუცილებელია“ ამერიკის შეიარაღებული ძალების „ტრიადის მოდერნიზაციისათვის“, ანუ 1,6 ტრილიონი დოლარის ღირებულების ამერიკის ხელოვნური შეიარაღების გრანდიოზული პროგრამის განხორციელებისათვის.

პრეზიდენტი აგრეთვე „აფრთხილებს“ კონგრესმენებს არ სცადონ მთლიანად ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბიუჯეტის შემცირება, რომელიც, როგორც ადმინისტრაციას აქვს განცხადებული, მიმდინარე საფინანსო წელს უნდა გაიზარდოს ასტრონომიულ თანხამდე — 263 მილიარდ დოლარამდე. ამასთან იგი აცხადებს, თითქოს ეს „სერიოზულ ზიანს“ მიაყენებს ადმინისტრაციის ღონისძიებებს ამერიკის სამხედრო ძლიერების საერთო გადიდებისათვის და მას „უარყოფითი შედეგები მოჰყვება საგარეო პოლიტიკის დარგში“.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. *ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ უარყო რ. რეიგანის ადმინისტრაციის მიერ მოთხოვნილი ახალგაზრდა „მ ჯ“ უსწრესი საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური ბირთვული რაკეტების წარმოების დაწყებისათვის. ხმების უმრავლესობით (245 კანონმდებელმა, მათ შორის 50 რესპუბლიკელმა, მხარი დაუჭირა მას და 176 კი წინააღმდეგ მისცა ხმა) მან მიიღო კონგრესმენ ჯ. ადამის შეხწორება 1983 საფინანსო წლისათვის ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხარჯების კანონპროექტებაში, რომელიც ითვალისწინებს პირველი ხუთი ასეთი რაკეტის შესაქმნელად პენტაგონის ბიუჯეტიდან 988 მილიონი დოლარის ამოღებას.*

წარმომადგენელთა პალატაში ხმის მიცემის შედეგები ასახავს ოფიციალური ვაშინგტონის საშიში მილიტარისტული კურსის გამო ფართო უკმაყოფილებასა და შეშფოთებას. მის შედეგებზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინა კონგრესისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ნოემბრის არჩევნებმა, რომლის დროსაც ამერიკელმა ამომრჩევლებმა დამაჯერებლად ცხადყვნეს, რომ ისინი მოითხოვენ ამერიკის შეერთებული შტატების გიგანტური სამხედრო ხარჯების შემცირებას.

ამრიგად, „ხელის გრეხის“, დეზინფორმაციისა და აშკარა ზეგავლენის გაწაფულ ტაქტიკას, რომელსაც თეთრ სახლთან ერთად მიმართავდნენ თავდაცვის მინისტრი კ. უაინბერგერი, პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების დარგში უ. კლარკი და ადმინისტრაციის სხვა მაღალი თანამდებობის მოღვაწენი, შედეგები არ მოჰყოლია. კონგრესმენთა უმრავლესობამ დაგმო „მ ჯ“ პროგრამა, როგორც ვაშინგტონის ცდა დაარღვიოს ახლა არსებული დაახლოებითი სტრატეგიული თანასწორობა, მიაღწიოს ცალმხრივ სამხედრო უპირატესობებს საბჭოთა კავშირთან შედარებით.

კენჭისყრის შემდეგ თეთრმა სახლმა გამოაქვეყნა რ. რეიგანის საკმაოდ გაღიზიანებული ტონით შედგენილი განცხადება, რომელშიც წარმომადგენელთა პალატის გადაწყვეტილებას „ტრაგიკული შეცდომა“ უწოდა და ხაზი გაუსვა, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კვლავაც ჯიუტად ეცადოს ადმინისტრაციის გეგმების განხორციელებას. იმ მიზნით იგი ამერიკის ისარგებლოს სენატში „მ“ რაკეტების საკითხზე მომავალი ხმის მიცემით. გარდა ამისა, წარმომადგენელთა პალატის გადაწყვეტილება ეხება მხოლოდ სამხედრო ასიგნებათა კანონპროექტის შესწორებას, მაგრამ არა თვით კანონპროექტს, რომლის გამო ჯერ არ გამართულა კენჭისყრა.

ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

„ᲒᲐᲫᲕᲘᲗᲝᲗ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲐᲡ?“ *დაახ. სამხედრო ბიუჯეტზე — გაბედულად აცხადებს დემონსტრანტის პლაკატის წარწერა.*

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებათა 17 ათასზე მეტმა მოსამსახურემ მიიღო მონაწილეობა ბონში გამართულ დემონსტრაციაში. მათ გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება „ხახრების ეკონომიის“ პოლიტიკისადმი, რომელსაც მმართველი წრეები ადგენენ სოციალური საჭიროებათაგის ახალგზებათა შეკვეცის ხარჯზე.

საბჭოთა ხელბურთელ ქალთა ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური წრის ორი მატჩი გამართა. პირველი მატჩი საბჭოთა ხელბურთელებმა მოუგეს გდრ-ის ნაკრებს ანგარიშით 15:14, მეორე — იუგოსლავიის ნაკრებს — 21:19.

• • •

8-9 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ *თბილისის სპორტის სასახლეში გრძელდებოდა საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე. 8 დეკემბერს შეხვედრები ასე დამთავრდა: სსრკ (ახალგაზრდული) — იუგოსლავია — 31:31; სსრკ-I — პოლონეთი —31:19; საქართველო — კუბა — 35:32.*

გუშინ გაგრძელდა ასე ითამაშეს: პოლონეთი-კუბა — 30:18; იუგოსლავია-სსრკ I — 21:30; საქართველო-სსრკ (ახალგაზრდული) — 34:27.

ᲡᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲓᲐᲚᲘᲜᲘᲓᲐᲜ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. *საბჭოთა კავშირის პირველობის მონაწილე ქალაქმა გათამაშეს IV ტური. ნ. გურიელმა, ნ. იოსელიანმა და ჟ. ირანიშვილმა ფრედ ითამაშეს, ჟ. ნერეთელმა და თ. ხუციშვილმა გადადეს თავიანთი პარტიები.*

ახლა აბშარუმოვისა და გურიელს 3-3 ქულა აქვთ, 2,5-2,5 ქულა აქვთ ლელიუკასა და იოსელიანს, ნერეთელს, ხუციშვილს და ეპპტეინს — 2-2 ქულა და 1 გადადებული პარტია, ზაიცევს, პიარნპუუს, ფთალობეკოვას — 2 ქულა, ჩელუშკინს — 1,5 ქულა და 2 გადადებული პარტია.

Ს. ᲗᲐᲙᲝᲛᲝᲚᲓᲘᲜᲘ

გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, 1917 წლიდან სკკპ წევრი სიმონ პეტრეს ძე **ᲗᲐᲙᲝᲛᲝᲚᲓᲘᲜᲘ.**

ს. Თ. ᲗᲐᲙᲝᲛᲝᲚᲓᲘᲜᲘ დაიბადა 1886 წელს. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1900 წელს რკინიგზის მთავარი სახელოსნოების ზეინკლის შეგირდად, სადაც იგი აქტიურად ჩაება პირველი მარქსისტული წრეების ჩამოყალიბებასა და მის საქმიანობაში. იყო პირველი „მასსობებისა“ და 1905 წლის მუშათა გაფიცვების ერთერთი ორგანიზატორი და აქტიური მონაწილე.

1904-1925 წლებში იგი მუშაობდა რკინიგზის მთავარი სახელოსნოების ზეინკლად, სოროკოქმავლო დეპოს ბრიგადირად, ადგილკომის თავმჯდომარის მოადგილედ, ნორმირების ბიუროს უფროსად.

1925 წლიდან ს. ᲗᲐᲙᲝᲛᲝᲚᲓᲘᲜᲘ რკინიგზის მთავარი მატერიალური განყოფილების უფროსია, ხოლო შემდეგ სოროკოქმავლო დეპოს წყალმომარაგების საამქროს ოსტატი. 1955 წლიდან ს. ᲗᲐᲙᲝᲛᲝᲚᲓᲘᲜᲘ პენსიონერია, 1957 წლიდან კი საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი.

პარტიამ და მთავრობამ სათანადოდ დააფასეს ს. ᲗᲐᲙᲝᲛᲝᲚᲓᲘᲜᲘ რევოლუციური და შრომითი საქმიანობა, იგი დაჯილდოებული იყო ლენინისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით, ოთხი მედლით, სამკერდე ნიშნით „სკკპ რიგების ყოფნის 50 წელი“.

ს. ს. ᲗᲐᲙᲝᲛᲝᲚᲓᲘᲜᲘ ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ამხანაგების გულში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ.

რედაქტორი
Გ. ᲑᲔᲓᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲣᲔᲤᲐᲡ ᲗᲐᲡᲖᲔ

8 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ *უეფას თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩების განმორებითი შეხვედრების დღე იყო. ტურნირის მონაწილე „სპარტაკი“ ვალენსიაში შეხვდა ადგილობრივ „ვალენსიას“. როგორც ვიცით, ამ გუნდების პირველი შეხვედრა თბილისში ფრედ დამთავრდა—0:0. გამმორებითს შეხვედრაში „ვალენსიამ“ ორი „მშრალი“ ბურთი გაიტანა „სპარტაკის“ კარში და გათამაშების მეოთხედფინალში გავიდა. ბურთები გაიტანეს: 31-ე წუთზე — სოლსონამ, 85-ე წუთზე — მორენომ. ტურნირის ეს ეტაპი კვლავ გადაუოლახავ დაბრკოლებად დარჩა საბჭოთა კლუბებისათვის. გთავაზობთ სხვა შეხვედრების შედეგებს: „სარაევო“ (იუგოსლავია) — „ანდერლეტი“ (ბელგია) — 1:0. პირველი შეხვედრა ბელგიელებმა მოიგეს ანგარიშთა 6:1, და ორი შეხვედრის ჯამით მეოთხედფინალში გავიდნენ. ბრძოლას აგრძელებს პორტუგალიის „ბენფიკა“, რომელმაც თავის მინდორზე დაამარცხა შვეიცარიის „ციურიხი“ ანგარიშთა 4:0, პირველი შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 1:1. „რომას“ (იტალია) ფეხბურთელებმა შინ დაამარცხეს გფრ-ის „კელნი“ ანგარიშით 2:0. დასავლეთგერმანელებს არ ეყოთ მინიმალური ანგარიშით — 1:0 გამარჯვება თავის მინდორზე. ტურნირის გამოთქმა „სურვეტიც“. შინ ფრედ — 2:2.— დამთავრებული მატჩის შემდეგ შვეიცარიელმა ფეხბურთელებმა პრაღაში წაგვეს „ბოჰემიანთან“— 1:2. რუმინეთის „უნივერსიტატეამ“ გზა გადაუღია საფრანგეთის „ბორდოს“. პირველი მატჩი საფრანგეთში „ბორდოს“ მოიგო ანგარიშით 1:0. ასეთივე ანგარიშთან დამთავრდა სპასუხო მატჩის ძირითადი დრო რუმინელთან „უნივერსიტატეას“ სასარგებლოდ. დამატებითს დროში რუმინელებმა მოახერხეს გოლის გატანა. „ტოტენჰე